ინფექციური დაავადებისთვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმა

ქ. თბილისი

2020 წ.

მუხლი 1. გეგმის მიზანი

სსიპ „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ (შემდგომში - უნივერსიტეტი, ორგანიზაცია) „ინფექციური დაავადებებისთვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმის“ მიზანია ახალი კორონავირუსის პანდემიის პირობებში COVID-19-სგან დაცვის ღონისძიებების შემუშავება და მათი განხორციელება. აღნიშნული გეგმა სრულად ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობით გათალისწინებულ მოთხოვნებს, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული ზოგად რეკომენდაციებს და სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის“ მითითებებს და რეკომენდაციებს.

მუხლი 2. რისკების დონე

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის N 01-227/ო ბრძანების „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“ მიხედვით, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი არის COVID-19-თან მიმართ თანამშრომელთა ინფიცირების საშუალო რისკის კატეგორიაში, რადგან ინფიცირების საშუალო რისკის სამუშაო ადგილები მოიცავს ისეთ სამუშაო ადგილებს, სადაც დასაქმებულებს მოეთხოვება ხშირი ან/და მჭიდრო კონტაქტის ქონა (2 მეტრზე ნაკლები) იმ ადამიანებთან, რომლებიც არ წარმოადგენენ ვირუსული ინფექციით დაინფიცირებულ ან დაინფიცირებაზე საეჭვო პაციენტებს.

მუხლი 3. კონტროლის ღონისძიებების იერარქია

1. სამუშაო ადგილზე უსაფრთხოების კონტროლის უზრუნველყოფის მიზნით უნივერსიტეტი იხელმძღვანელებს შემდეგი „კონტროლის ღონისძიებების იერარქიით“:

2. რისკის კონტროლის იერარქიის არჩევისას უნივერსიტეტი იხელმძღვანელებს დაღმავალი მიმართულებით უპირატესი საკონტროლო ღონისძიებიდან ბოლო საფეხურამდე.

მუხლი 4. სამუშაო ადგილებზე ვირუსის გავრცელების პრევენცია

ორგანიზაციაში სამუშაო ადგილებზე ვირუსის გავრცელების პრევენცია მოიცავს სამ საფეხურს:

1. საფრთხის იზოლირება;

2. პროცედურები;
3. ინდივიდუალური დაცვის საშუალებები;

მუხლი 5. საფრთხის იზოლირება

1. ორგანიზაციაში ვირუსის გავრცელების რისკ ჯგუფის წარმომადგენელი პირების ფიზიკური იზოლირება დანარჩენი თანამშრომლებისგან.

ამ რისკ ჯგუფში შევა ყველა დასაქმებული და ვიზიტორი, თუ:

- მათ დატოვეს ვირუსის გავრცელების ქვეყნები ბოლო 14 დღის განმავლობაში;
- ბოლო 14 დღის განმავლობაში მჭიდრო კონტაქტში იმყოფებოდნენ კორონავირუსის მატარებელ პირთან/პირებთან (მათ უნდა გაიარონ თვითიზოლაცია/კარანტინი დადგენილი წესით);
- აღენიშნებათ რესპირატორული ინფექციისთვის დამახასიათებელი სიმპტომები (ხველა, ტემპერატურა, ცემინება, სუნთქვის გაძნელება, საერთო სისუსტე და ა.შ.);
- მიეკუთვნებიან COVID-19-ით დაინფიცირებისა და გართულებების მაღალი რისკის მქონეებს: 70 წელს გადაცილებული, აგრეთვე, ქრონიკული დაავადებების (გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, დიაბეტი, ბრონქული ასთმა და სასუნთქი ორგანოების სხვა დაავადებები) მქონე პირები.

დანართ 2- ში მოცემული კითხვარი დაურიგდება პერსონალს. მასზე ინფორმაცია ზეპირსიტყვიერად - საგანგებო ინსტრუქტაჟის ფარგლებში და ასევე წერილობით - შიდა გავრცელების საშუალებებით გაუზიარდება დაწესებულების ყველა თანამშრომელს. უნივერსიტეტის ტერიტორიაზე შემოსული ყველა პირი ვალდებულია შეავსოს აღნიშნული კითხვარი და რომელიმე კითხვაზე დადებითი პასუხის შემთხვევაში არ დაიშვება ორგანიზაციის ტერიტორიაზე.

2. ვირუსის გავრცელების რისკ ჯგუფის წარმომადგენელი პირები არ დაიშვებიან უნივერსიტეტში სამუშაო ადგილებზე, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევების გარდა.

3. უნივერსიტეტში უნდა განხორციელდეს თერმოსკრინინგი, რომელიც მოიცავს სამუშაოს დაწყების წინ განხორცილებულ თანამშრომელთა და სტუდენტთა ჯანმრთელობის მდგომარეობის კონტროლს ტემპერატურის გაზომვით ან გამოკითხვით. ამ მიზნით, მონაცემები აღირიცხება ჟურნალში, სადაც დაფიქსირებული იქნება პასუხები შემდეგ კითხვებზე:

- ტემპერატურული რეაქცია.
- შემდგარი კონტაქტი ავადმყოფ და ინფექციაზე საეჭვო პირთან.
- რესპირატორული სიმპტომების არსებობა, ასევე გემოს და სუნის აღქმის დაკარგვა.

37 გრადუსზე მაღალი ტემპერატურის აღმოჩენის შემთხვევაში, პირი არ დაიშვება უნივერსიტეტის ტერიტორიაზე.

N	შემოწმების დღე და საათი	დასაქმებულის შესახებ მონაცემები	ტემპერატურა	კონტაქტი (დიახ, არა)	რესპირატორული სიმპტომები (დიახ, არა)	შენიშვნა	ხელმოწერა

4. ორგანიზაციაში განხორციელდება საინჟინრო კონტროლის ღონისძიებები, მათ შორის დამცავი ბარიერების დამონტაჟება დასაქმებულთა ან/და სამუშაო სივრცეში მყოფ სხვა პირთა შორის დისტანციის დაცვის მიზნით;

მუხლი 6. პროცედურები

1. ინფექციური დაავადებისთვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმა გაზიარებულ უნდა იქნას ყველა თანამშრომლისთვის ინსტრუქტაჟის სახით.
2. ადმინისტრაციული კონტროლის ღონისძიებები უნდა მოიცავდეს ინსტრუქციებს, ტრენინგებს, სადეზინფექციო საშუალებების უზრუნველყოფას, საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმის შემუშავებას და ა.შ..
3. დასაქმებულთათვის უნდა ჩატარდეს ტრენინგები და ჩაუტარდეთ ინსტრუქტაჟი ვირუსის გავრცელების რისკებისა და პრევენციული საკონტროლო ღონისძიებების შესახებ (მაგ. ხველების ეტიკეტი, ხელის დაბანის ეტიკეტი, პირადი დაცვის აღჭურვილობის მოვლა და ა.შ.) და აღნიშნული პროცედურები მათთვის გასაგებ ენაზე უნდა იყოს ხელმისაწვდომი;
4. დასაქმებულებსა და მესამე/სხვა პირებისათვის უნდა ხდებოდეს განახლებული ინფორმაციის მიწოდება;
5. უნდა ხდებოდეს მოწოდება ინფექციაზე საეჭვო დასაქმებულების მიმართ, რომ სახლში დარჩნენ;
6. თვალსაჩინო ადგილას უნდა განთავსდეს განცხადებები COVID-19-ის და იმ პრევენციული ღონისძიებების შესახებ, რომლებიც განსაზღვრულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის“ მიერ, რათა დასაქმებულებს/სხვა პირებს/სტუდენტებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, გაეცნონ მათ სამუშაო პროცესის დაწყებამდე.
7. ის თანამშრომლები, რომელთაც შეუძლიათ სამუშაოს შესრულება დისტანციურად, უზრუნველყოფილი იქნებიან მუშაობის ამგვარი მეთოდის გამოყენებისათვის.
8. შესაძლებლობის ფარგლებში დაწესდება შეზღუდვები სამუშაო დროზე.
9. გამოყენებული უნდა იქნას თანამშრომელთა როტაცია.
10. თანამშრომლების და სხვა პირების მიღება სასწავლო დაწესებულებაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს წინასწარ განსაზღვრული გეგმის/ცხრილის მიხედვით.
11. უზრუნველყოფილ უნდა იყოს ხალხის ნაკადის კონტროლი უსაფრთხო დისტანციის დაცვით (არაუმცირეს 2მ).
12. აუდიტორიებში, ოთახებში განლაგება უნდა იყოს მოწყობილი ისე, რომ თანამშრომლებს, სტუდენტებს შორის დაცული იყოს 2 მეტრის დისტანცია;
13. წინასწარ განისაზღვება პედაგოგების, სტუდენტების/მსმენელების რაოდენობა ისე, რომ როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული სწავლებისთვის განკუთვნილ სივრცეში

უზრუნველყოფილი უნდა იყოს 2 მეტრიანი დისტანციის დაცვა. ამასთან, თანამშრომლები/სტუდენტები/მსმენელები უნდა განთავსდნენ მაგიდებთან იმგვარად, რომ არ აღმოჩნდნენ ერთმანეთის პირისპირ;

14. პერიოდულად, დღეში რამდენჯერმე უნდა განხორციელდეს დახურული სივრცეების/სათავსების ბუნებრივი ვენტილაცია და სამუშაო ადგილების სველი წესით დასუფთავება და დეზინფექცია დადგენილი წესით.

15. უნდა მოხდეს დეზობარიერების განთავსება შენობების შესასვლელებში, შესაბამისი სავალდებულო ნიშნის მითითებით.

16. ობიექტზე უნდა მოხდეს ხელის ჰიგიენური საშუალებების განთავსება თვალსაჩინო ადგილას, ასევე იმავე ადგილას უნდა განთავსდეს ინფორმაცია მათი სწორად მოხმარების თაობაზე.

17. უნდა მოხდეს გამოყენებული ჰიგიენური საშუალებების დახურულ კონტეინერებში განთავსება და მათი შენობიდან დროულად გატანა შესაბამისი პირის/სამსახურის მიერ.

18. საჭიროების შემთხვევაში უნდა შეიზღუდოს მესამე/სხვა პირების და ფართო საზოგადოების დაშვება სამუშაო ადგილზე, ან განისაზღვროს სამუშაო არეალი მათი დაშვების მიზნით;

19. უნდა მოხდეს პირადი კონტაქტების მინიმუმამდე შემცირების ღონისძიებების დაგეგმვა დამსაქმებლის მიერ (მაგ. მანქანიდან გადმოუსვლელად მომსახურების მიღების ადგილების მოწყობა, ტელეფონით კომუნიკაცია, ან დისტანციური მუშაობის შემოღება თანამშრომლებისთვის);

20. სამუშაო სივრცეში მყოფ მესამე/სხვა პირთა შორის დისტანციის დასაცავად მოხდეს სავალდებულო პირობითი ნიშნების განთავსება (იატაკზე შესაბამისი სტიკერების, ნახაზების სახით და ა.შ.).

მუხლი 7. ჰიგიენური პროცედურები

1. უნივერსიტეტში უნდა განხორციელდეს:

ა) სამუშაო ადგილებზე ხელების ხშირი და გულდასმით დაბანის ხელშეწყობა;

ბ) ხელის დასაბანი ადგილის გამოყოფა სტუდენტებსა, დასაქმებულთა და მესამე პირებისთვის;

გ) ხელის დაბანის შეუძლებლობის შემთხვევაში, გამოყენებულ იქნეს სულ მცირე 70% ალკოჰოლის შემცველი ხელის გამწმენდი სითხე;

დ) რესპირატორული ეტიკეტის დაცვის წახალისება, მათ შორის ხველის დაცემინების დროს ცხვირის და პირის დაფარვა;

ე) ერთჯერადი ხელსახოცებით და სხვა პირადი დაცვის საშუალებებით სამუშაო ადგილების მომარაგება;

ვ) ერთჯერადი ხელსახოცებისა თუ სხვა ჰიგიენური ნარჩენებისთვის დახურული კონტეინერების განთავსება, რომელშიც ჩაფენილი იქნება ერთჯერადი პლასტიკური პაკეტი;

ზ) სამუშაო ადგილზე დასაქმებულთა ტრანსპორტირების შემთხვევაში სატრანსპორტო საშუალებების შიდა სივრცის სანიტარული დამუშავება ყოველი შესრულებული სამარშუტო ხაზის შემდგომ, მაგრამ არაუმეტეს მგზავრების გადაყვანამდე 10 საათით ადრე.

მუხლი 8. სამუშაო სივრცის, აღჭურვილობის, ავტომანქანების სრული და რეგულარული დეზინფექცია

1. მობილურის/ქალაქის ტელეფონის გამოყენების შემთხვევაში განხორციელდება მისი პერიოდული დამუშავება შესაბამისი წესით (არა უმეტეს 2 სთ-ის დაყოვნებით).

2. ხშირად შეხებადი ზედაპირებისა (მათ შორის კლავიატურის, ღილაკების, კარების სახელურების, ჩამრთველ/გამომრთველი ღილაკების) დამუშავება განხორციელდება რამდენჯერმე დღეში (არა უმეტეს 2 სთ-ის დაყოვნებით) შესაბამისი კონცენტრაციის სადეზინფექციო ხსნარით.

3. განხორციელდება სამუშაო ინვენტარისა და მოწყობილობების დამუშავება რამდენჯერმე დღეში (არა უმეტეს 2 სთ-ის დაყოვნებით) შესაბამისი კონცენტრაციის სადეზინფექციო ხსნარით.

4. დეზინფექციის განმახორციელებელი პირები აღჭურვილნი იქნებიან შესაბამისი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (ხელთათმანი, პირბადე, ფარი/სათვალე, სამედიცინო ხალათი, ბახილები).

5. გაძლიერდება სანიტარული წერტილების დეზინფექცია (არა უმეტეს 2 სთ-ის დაყოვნებით). პედაგოგები და სტუდენტები უზრუნველყოფილნი იქნებიან ხელის დაბანის გამართული საშუალებებით (ხელსაბანი ნიჟარა, თხევადი საპონი და ხელის გასამშრალებელი ერთჯერადი ხელსახოცები).
6. დასაქმებულთა სამუშაო ადგილები აღჭურვილ იქნება ზედაპირების სადეზინფექციო ხსნარით.
7. სველი წესით დასუფთავებასა და სამუშაო სივრცის დღეში რამდენჯერმე დეზინფექციას განახორციელებს შესაბამისი ეკიპირებით აღჭურვილი დასუფთავების თანამშრომლები.
8. ყოველი სამუშაო დღის შემდგომ განხორციელდება საერთო გამოყენების სივრცის სველი წესით დალაგება/სანიტარული დამუშავება ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის № 01-123/ო ბრძანების „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების პრევენციისა და მართვის უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ სათანადო დანართის შესაბამისად.

მუხლი 9. სამუშაო სივრცის ვენტილაცია

1. შენობაში არსებული სავენტილაციო სისტემის მეშვეობით მოხდება სრული სამუშაო სივრცის გამუდმებულ რეჟიმში ვენტილაცია, იმ ადგილებში, სადაც შესაძლებელია ბუნებრივი ვენტილაცია, გაიღება კარები/ფანჯრები და მოხდება ჰაერის განიავება დღეში რამდენჯერმე.
2. უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ვირუსის გავრცელების მაღალი რისკის პირობებში იკრძალება კონდენციონერის ჩართვა.

მუხლი 10. ინდივიდუალური დაცვის საშუალებები

1. უნივერსიტეტში უნდა განხორციელდეს ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენება (ნიღბები, სათვალეები, ხელთათმანები, კომბინიზონი).
2. საჭიროების შემთხვევაში, სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე, დასაქმებულები უზრუნველყოფილ უნდა იქნან აუცილებელი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (ხელთათმანები, პირბადე, ფარი/სათვალე, საჭიროების შემთხვევაში ხალათები, ბახილი).
3. ინდივიდუალური დაცვის საშუალებების შერჩევისას უნდა მოხდეს მათი ფუნქციური დანიშნულების, მორგებადობის, გაუსნებოვნების შესაძლებლობისა და საბოლოო განთავსების გათვალისწინება.
4. დამსაქმებლის მიერ უნდა მოხდეს ისეთი ინდივიდუალური დაცვის საშუალების შერჩევა, რომელიც დაიცავს თანამშრომლებს კონკრეტულად მისი სამუშაო ადგილისა და სპეფიციკის გათვალისწინებით.
5. ინფიცირების საშუალო რისკის მქონე თანამშრომლების მიმართ ინდივიდუალური დაცვის საშუალების შერჩევა უნდა განხორციელდეს რისკის შეფასების შედეგების შესაბამისად (შესაძლოა საჭირო გახდეს ნიღბების, ხელთათმანების, კომბინიზონის, სახის დამცავი ფარის, ან დამცავი სათვალეების კომბინაციის გამოყენებაც).
6. დასაქმებულისთვის უნდა ჩატარდეს ტრენინგები ინდივიდუალური დაცვის საშუალებების სწორად გამოყენებასა და შემდგომში მათ შენახვა/მოცილებაზე.
7. უნდა მოხდეს სახის დამცავი ნიღბებით ყველა იმ დასაქმებულისა და მესამე/სხვა პირის აღჭურვა, რომესაც აღენიშნება რესპირატორული სეკრეცია (ვიდრე ისინი შეძლებენ სამუშაო ადგილის დატოვებას).

მუხლი 11. ქვეყანაში ინფექციური დაავადების (COVID-19) გავრცელების პირობებში თანამშრომელთა ქცევის სავალდებულო წესები ორგნიზაციის ტერიტორიზე

დანართ 3-ში მოცემულია თანამშრომელთა ქცევის სავალდებულო წესები ორგანიზაციის ტერიტორიაზე ქვეყანაში ინფექციური დაავადების (COVID-19) გავრცელების პირობებში. აღნიშნული წესები გაზიარებულ იქნება ყველა დასაქმებულისათვის ინსტრუქტაჟის სახით. წესების დაცვაზე კონტროლი ევალება ადმინისტრაციის ხელმძღვანელს.

მუხლი 12. სასწავლო პროცესის მოწყობა

1. დისტანციური რეჟიმის დასრულებისთანავე და ნორმალური სასწავლო პროცესის აღდგენისთანავე პედაგოგებისა და სტუდენტების მიღება სასწავლო დაწესებულებაში უზრუნველყოფილ იქნება წინასწარ განსაზღვრული გეგმის/ცხრილის მიხედვით.
2. წინასწარ განისაზღვრება პედაგოგებისა და ცვლებში მისაღები სტუდენტების რაოდენობა ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნება სამუშაო ფართის ყოველ 5მ^2 ფართობზე 1 (ერთი) ადამიანის დაშვება.
3. განხორციელდება ნაკადის კონტროლი უსაფრთხო დისტანციის დაცვით (არაუმცირეს 2მ).
4. განხორციელდება სტუდენტთა განთავსება სასწავლო მაგიდებთან იმგვარად, რომ არ აღმოჩნდნენ ერთმანეთისა და პედაგოგის პირისპირ.

მუხლი 13. სასწავლო ლაბორატორიებისა და საგამოცდო ცენტრების მოწყობა

1. პედაგოგებისა და სტუდენტების მიღება სასწავლო დაწესებულებაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს წინასწარი განსაზღვრული გეგმის/ცხრილის მიხედვით;
2. უზრუნველყოფილი უნდა იყოს ხალხის ნაკადის კონტროლი ერთმანეთს შორის არანაკლებ 2 მეტრის მანძილზე;
3. უზრუნველყოფილი უნდა იყოს სტუდენტთა განთავსება სასწავლო მაგიდებთან იმგვარად, რომ არ აღმოჩნდნენ ერთმანეთისა და პედაგოგის პირისპირ;
4. ერთიან შესასვლელთან უნდა განხორციელეს ვიდეოსკრინინგი ან თერმოსკრინინგი, რათა გავაკონტროლოთ როგორც პედაგოგთა, ასევე სტუდენტთა ჯანმრთელობის მდგომარეობა ტემპერატურის გაზომვით. ცხელების დაფიქსირების შემთვევაში უნდა მოვახდინოთ აღრიცხვა და დაუყოვნებლივ მივმართოთ 112-ის ცხელ ხაზს;
5. სასწავლო დაწესებულებისა და სასადილოს შესასვლელში უნდა განთავსდეს დეზობარიერი, შესაბამისი სავალდებულო ნიშნის მითითებით;
6. თვალსაჩინო ადგილას უნდა გამოიკრას ინფორმაცია COVID-19 ვირუსთან დაკავშირებული პრევენციული ღონისძიებების შესახებ;
7. უზრუნველყოფილი უნდა იყოს პედაგოგთა და სტუდენტთა დაშვება სასწავლო დაწესებულებაში მხოლოდ ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (ნიღბები, საჭიროების შემთხვევაში სახის ფარები/დამცავი სათვალეები);
8. პედაგოგები და სტუდენტები უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ ხელის დაბანის გამართული საშუალებებით (ხელსაბანი ნიჟარა, თხევადი საპონი და ხელის გასამშრალებელი ერთჯერადი ხელსახოცები);
9. სამუშაო ადგილებზე უნდა განთავსდეს ხშირად შეხებადი ზედაპირების დასამუშავებელი სადეზინფექციო საშუალებები და უზვრუნველყოფილი უნდა იყოს მათი სწორად მოხმარების პრაქტიკა (შესაბამისი წესების შემუშავება და პედაგოგების/სტუდენტების ინფორმირება/ტრენირება);
10. პერიოდულად, დღეში რამდენჯერმე, უზრუნველყოფილი უნდა იყოს სამუშაო სივრცეების ბუნებრივი ვენტილაცია;
11. უზრუნველყოფილი უნდა იყოს გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცებისა თუ სხვა გამოყენებული ჰიგიენური ნარჩენებისთვის დახურული კონტეინერების განთავსება, რომელშიც ჩაფენილი იქნება ერთჯერადი პლასტიკური პაკეტი. ნარჩენების პარკის ამოღება და განკარგვა უნდა მოვახდინოთ ერთჯერადი ხელთათმანების გამოყენებით. ვუზრუნველყოთ ასეთი ნარჩენების დროული გატანა შესაბამისი პირის/სამსახურის მიერ;
12. უზრუნველყოფილი უნდა იყოს საერთო სამუშაო ფართის ყოველდღიური დეზინფექცია;
13. უზრუნველყოფილი უნდა იყოს სახელურების, ლიფტის ღილაკების, მოაჯირების, კარების სახელურების და ხშირად გამოყენებული ზედაპირების სანიტარული დამუშავება პერიოდულად (2 საათიანი ინტერვალებით);
14. უზრუნველყოფილი უნდა იყოს სანიტარული წერტილების პერიოდული დეზინფექცია;
15. უზრუნველყოფილი უნდა იყოს სამუშაო სივრცის სველი წესით დალაგება/დეზინფექცია ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №01-123/ო ბრძანების „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის

(COVID-19) გავრცელების პრევენციისა და მართვის უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ შესაბამისი დანართით გათვალისწინებული წესით.

16. სასწავლო ლაბორატორიებისთვის გამოყნებული უნდა იყოს პედაგოგებისა და სტუდენტებისთვის ცვლებში მუშაობის რეჟიმი; არ დაიშვება სამუშაო სივრცეში პედაგოგები და სტუდენტები, სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე, აუცილებელი ინდივიდუალური დაცვის საშუალების გარეშე, მათ შორის:

- ნიღაბი;
- ხელთათმანი;
- სახის დამცავი ფარი;
- საჭიროების შემთხვევაში, ბახილები;
- სპეც. ტანსაცმელი/ხალათი;

17. საგამოცდო ცენტრებისთვის მაგიდების განლაგებისას გამოყენებული უნდა იყოს 2 მ დისტანციის შესაძლებლობა; არ დაიშვება საგამოცო ცენტრში პედაგოგები და სტუდენტები ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გარეშე; სტუდენტები მაგიდებთან არ განთავსდებიან ერთმანეთის პირისპირ; სტუდენტების მისაღებად გამოყენებული უნდა იყოს ცვლებში მუშაობის რეჟიმი; ყოველი ცვლის შემდგომ გამოყენებული უნდა იყოს სანიტარული შესვენება.

მუხლი 14. სამუშაო ადგილებზე, აუდიტორიებში ვირუსის გამოვლენის შემთხვევაში სათანადო ღონისძიებების განხორციელება.

დასაქმებულის, სტუმრის ან/და სტუდენტის მიერ სიმპტომების დაფიქსირების ან ამ გეგმით გათვალისწინებული სავალდებულო მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში გამოვლენილი პირები, ასევე COVID-19-ის დადასტურებულ ან/და სავარაუდო შემთხვევისას (ე.ი. პირები, რომელთა გამოკვლევა გრძელდება) თანამშრომლები და ვიზიტორები უნდა მოთავსდნენ სპეციალურად გამოყოფილ ბუნებრივი ვენტილაციით აღჭურვილ ოთახში, რომლის შესასვლელზე დაიკიდება სპეციალური ნიშანი, რომელიც კრძალავს სხვა პირების შესვლას. იდენტიფიცირებული პირის შესახებ ინფორმაცია უნდა გადაეცეს შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებს. დაწესებულების რეაგირების ჯგუფი (აღჭურვილი უნდა იყოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით - რესპირატორი/ პირბადე, ხელთათმანები, ბახილები, სპეცხალათი) გამოიკვლევს პირის ყველა ახლო კონტაქტს (თანამშრომლებთაგან) და ამ მოძიებულ ინფორმაციას გადასცემს შესაბამის სტრუქტურებს. რეაგირების ჯგუფის წევრები ვალდებული არიან რისკ ჯგუფის წარმომადგენელ პირთან დაიცვან მინიმუმ 2 მეტრიან დისტანცია.

პირის გაყვანის შემდეგ სპეციალური ოთხი უნდა დამუშავდეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 25 მარტის N 01-123/ო ბრძანების მე -6 დანართის მიხედვით (ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციისადმი (COVID-19) ექსპოზირებული არასამედიცინო ობიექტების დასუფთავების დროებითი რეკომენდაციები).

დანართი N2

სავალდებულო კითხვარი.

თუ ამ კითხვებიდან რომელიმეზე მაინც გაქვთ დადებითი პასუხი, გთხოვთ დაუყოვნებლივ

შეატყობინოთ პასუხისმგებელ პირს

1. ბოლო 14 დღის განმავლობაში იმყოფებოდით თუ არა ვირუსის გავრცელების ქვეყნებში?

2. ბოლო 14 დღის განმავლობაში იმყოფებოდით თუ არა საქართველოს საკარანტინო ზონებში?

3. ბოლო 14 დღის განმავლობაში მჭიდრო კონტაქტში იმყოფებოდით თუ არა კორონავირუსის მატარებელ პირთან/პირებთან?

4. აღგენიშნებათ თუ არა რესპირატორული ინფექციისთვის დამახასიათებელი სიმპტომები (ხველა, ტემპერატურა, ცემინება, სუნთქვის გაძნელება, საერთო სისუსტე და ა.შ.)?

5. მიეკუთვნებით თუ არა COVID-19-ით დაინფიცირებისა და გართულებების მაღალი რისკის მქონეებს: 70 წელს გადაცილებული, და/ან ქრონიკული დაავადებების (გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, დიაბეტი, ბრონქული ასთმა და სასუნთქი ორგანოების სხვა დაავადებები)?

დანართი N3

ქვეყანაში ინფექციური დაავადების (COVID-19) გავრცელების პირობებში თანამშრომელთა ქცევის სავალდებულო წესები ორგანიზაციის ტერიტორიაზე

ხელის ჰიგიენის რეგულარულად და საფუძვლიანად შესრულება წარმოადგენს უმეტესი ვირუსისგან თავის დაცვის საუკეთესო საშუალებას. შესაბამისად, აუცილებელია სამუშაო ადგილზე განახორციელოთ შემდეგი ღონისძიებები:

1. დაიცავით ჰიგიენის წესები თქვენს სამუშაო ადგილზე;
2. სამუშაო პროცესი განახორციელეთ საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმის შესაბამისად;
3. მისალმებისას არ ჩამოართვათ ხელი ერთმანეთს და მოერიდეთ სხვებთან კონტაქტს (შეხებას და სხვა);
4. მოერიდეთ თავშეყრას, დაიცავით რეკომენდაცია უსაფრთხო დისტანციის დაცვით;
5. სამუშაოების შესრულებისას გამოიყენეთ სრულად ის ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, რომელსაც გაწვდით დამსაქმებელი;
6. სამუშაოს დაწყებისა და დამთავრებისას სადეზინფექციო საშუალებებით დაასუფთავეთ სამუშაო ადგილები და ის ხელსაწყოები, რომელსაც იყენებთ სამუშაო პროცესის მიმდინარეობისას;
7. გამოიყენეთ სპირტის შემცველი ხელის საწმენდი საშუალებები იმ შემთხვევაში, თუ ვერ ახერხებთ ხელების დაბანას და გაშრობას. გახსოვდეთ, რომ ხელების დაბანა საპნითა და წყლით არის უპირატესი;
8. დახველების და დაცემინების დროს მიიფარეთ სუფთა ხელსახოცი ან იდაყვი. გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცი კი გადააგდეთ ურნაში;

ხელის ჰიგიენა ჩაიტარეთ დამატებით აუცილებლად:

- საკვების მიღებამდე და მიღების შემდეგ.
- დახველების ან დაცემინების შემდეგ.
- თანხის კუპიურებთან და მონეტებთან ხელით შეხების შემდეგ;